

ფილადელფიის სასკოლო ოლქი
მრავალენოვანი სწავლების კურსისა და პროგრამების ოფისი
440 NORTH BROAD STREET, SUITE 251
PHILADELPHIA, PA 19130

მითითებული მოსწავლის მშობელს/მეურვეს:

Philadelphia, PA _____

2017 წლის 15 სექტემბერი

ESL პროგრამიდან გასვლა
შეტყობინება მშობელს/მეურვეს

ძვირფასო მშობელო/ მეურვევ:

სიამაყით გაცნობებთ, რომ თქვენმა შვილმა _____ (_____)
მიაღწია ინგლისური ენის ფლობის დონეს და, ამიტომ, ის 2017 წლის
5 სექტემბრიდან, გავიდა პროგრამიდან *ინგლისური, როგორც მეორე ენა (ESL)*.

ESL პროგრამიდან გასვლის კრიტერიუმები ფილადელფიის სასკოლო ოლქში
შეგიძლიათ ნახოთ ამ წერილის უკანა მხარეს. ფილადელფიის სასკოლო ოლქმა
განიხილა თქვენი შვილის შედეგები და დაადგინა, რომ მას აღარ სჭირდება
ინგლისური ენის გაუმჯობესებაში (ELD) ინსტრუქტაჟი ან დახმარება, რასაც
ითვალისწინებს *III წიგნის დამატებითი პროგრამები*. თქვენი შვილის წინსვლა
კვლავ გაკონტროლდება ოთხი (4) წლის განმავლობაში, როგორც ამას მოითხოვს
ფედერალური კანონმდებლობა.

მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, რაც მიზნად ისახავს თვენი შვილის მიერ
ინგლისური ენის ფლობის გაუმჯობესებას. თუკი გაქვთ რაიმე შეკითხვა ან შენიშვნა,
გთხოვთ, მიმართოთ თქვენი შვილის მასწავლებელს ან სკოლის ადმინისტრატორს.

პატივისცემით,

ელისონ ვ. სტილი
უფროსის მოადგილე

ფილადელფიის სასკოლო ოლქი
გასვლის კრიტერიუმები ინგლისური ენის შემსწავლელთათვის (ELs)

დონე	დაშვება ELLs შემაჯამებელი (საერთო) ქულისთვის*	ESL-ის მასწავლებლის რეკომენდაცია	ალტერნატიული რეკომენდაცია
K-12	5.0 ან მეტი	სულ მცირე ერთი (1) ESL მასწავლებლის რეკომენდაცია რეკლასიფიკაციისთვის (გასვლისთვის).	რეკლასიფიკაციასთან (გასვლასთან) დაკავშირებული ESL მასწავლებლის რეკომენდაციის არარსებობის შემთხვევაში, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა საგნის ორი (2) მასწავლებლისგან რეკლასიფიკაციისთვის (გასვლისთვის) საჭირო მინიმუმ ორი (2) რეკომენდაცია.

* აღებულია 2016-2017 სასწავლო წელს რეკლასიფიკაცია, ასევე ცნობილია, როგორც „გასვლა“ ESL პროგრამიდან.

მოსწავლის ინგლისური ენის ფლობის დონე

პ/მ	სახელი	დაშვება საერთო ქულისთვის 2016-2017	სარეკომენდაციო წერილი
			დიახ

ESL პროგრამიდან გასვლის შემდეგ ESL სტუდენტების მონიტორინგი

მონიტორინგი მოითხოვება ოთხი (4) წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მოსწავლე გადის ESL პროგრამიდან. ეს პროცესი უზრუნველყოფს, რომ გასულ სტუდენტებს აღარ დასჭირდეთ ESOL დახმარება იმ შემთხვევაშიც კი, თუ დააკმაყოფილებენ გასვლის კრიტერიუმებს.

მონიტორინგი შეიძლება მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერს ან ყველას:

- დონეების პერიოდული მიმოხილვა;
- ადგილობრივი შეფასებები
- მოთხოვნილი ტესტი შტატის დონეზე
- მასწავლებლის დაკვირვება